]

# საქართველო
# ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის
# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 133
03/02/2020

133-01-4-202002031553

ქ.ქუთაისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების და მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება- გადაიარაღებისათვის ხელშემწყობი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების კონკურსის გამოცხადების და დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების'' პროგრამის ფარგლებში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესაძლებლობების განვითარების, რეალიზების, დასაქმების ხელშეწყობისა და ,,მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების'' პროგრამის ფარგლებში, მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება- გადაიარაღების ხელშეწყობის მიზნით მიზანშეწონილია კონკურსის შედეგად შეირჩეს საუკეთესო პროექტი/პროექტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 დეკემბრის № 133-ე დადგენილების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი, ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შესაძლებლობების განვითარების, რეალიზების, დასაქმების ხელშეწყობისა და ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება- გადაიარაღების ხელშეწყობის მიზნით, საუკეთესო პროექტი/პროექტების შესარჩევად.
2. კონკურსის ორგანიზებისა და საუკეთესო პროექტი/პროქტების გამოვლენის მიზნით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნეს დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ნინო თვალთვაძე - ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე /კომისიის თავმჯდომარე/

იოსებ ჩიჯავაძე - ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი /კომისიის თავმჯდომარის მოადგილე/

დავით ნიშნიანიძე - ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი. /წევრი/

მირზა მამასახლისი - ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი. /წევრი/

ირაკლი გიორგაძე - ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის, იურიდიული განყოფილების ხელმძღვანელი. /წევრი/

ვლადიმერ თორთლაძე - ქ.ქუთაისის მუნიციალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, სოციალურ საკითხთა სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი. /წევრი/

დავით ჩხობაძე - ააიპ იმერეთის განვითარების ცენტრის დირექტორი. /წევრი/

გვანცა თოთაძე - სამეცნიერო ინტელექტუალური კლუბ ,,თაობათა დიალოგის'' (RICDOG) კომუნიკაციის მენეჯერი. /წევრი/

თეონა ფურცხვანიძე - ,,ფიფლ ინ ნიდ''-ის (PIN) სოციალური პროექტების კოორდინატორი. /წევრი/

3. დროებითმა კომისიამ გამოავლინოს კონკურსზე წარმოდგენილი საუკეთესო პროექტი/პროექტები.

4.დროებითი კომისის თავმჯდომარეს მიენიჭოს უფლებამოსილება, საკონკურსო კომისიის წევრად დამატებით მოიწვიოს პროექტის ფარგლებში დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლები, პროცესის გამჭვირვალობის ხელშეწყობის მიზნით. მათი საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე.

5.დამტკიცდეს დროებითი საკონკურსო კომისიის დებულება დანართი N1-ის შესაბამისად /თან ერთვის/.

6.დამტკიცდეს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ წარმოდგნილი ქ.ქუთაისში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტი/პროექტების დაფინანსება /თანადაფინანსების კონკურსის პროგრამა და პირობები დანართი N2-ის შესაბამისად /თან ერთვის/.

7.დამტკიცდეს ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალურ საკითხთა სამსახურის მიერ წარმოდგნილი მრავალშვილიანი ოჯახების მიერ მიკრო და მცირე მეწარმეობის დაწყების ან არსებულის გაფართოება - გადაიარაღებისათვის ხელშემწყობი პროექტი/პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსების კონკურსის პროგრამა და პირობები დანართი N3-ის შესაბამისად /თან ერთვის/.

8.ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციულმა სამსახურმა /ლ.კინწურაშვილი/ უზრუნველყოს კონკურსის პირობების შესახებ განცხადების გამოქვეყნება ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებებით.

9. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ. კუპრაძის ქ. №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

11. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი